საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1938 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 4 (6550) 21 იანვარი ხუთშაბათი 1993 წელი

## გაზეთი თქვენი თვალით

მკითხველო! ჩვენ ხშირად მოგვიმართავს თქვენთვის მრავალგვარი თხოვნით. გთხოვდით გამოხმაურებოდით ჩვენს პუბლიკაციებს, გაგეზიარებინათ თქვენი აზრი. ეს არ იყო შემთხვევითი — მკითხველის აზრი გაზეთს ეხმარება სწორ ორიენტაციაში.

მსგავსი თხოვნით გვინდა მოგმართოთ ახლაც, მით უფრო კატაკლიზმების ეპოქაში ვცხოვრობთ. საბედნიეროდ, იცვლება შეხედულებები, ხდება ღირებულებათა გადაფასება, ტაბუ ეხსნება აკრძალულ თემებს. გამოჩნდა თემების ფართო სპექტრი, რომელმაც შეიძლება მკითხველი დააინტერესოს. მეორე მხრივ, ცხოვრების გართულებულმა პირობებმა ბევრი სიძნელე შეგვიქმნა. ერთი სიტყვით, ჩვენ ვიცით ჩვენი შესაძლებლობანი და ნაკლოვანებები, მაგრამ გარედან მაყურებელ თვალს უკეთ შეუძლია მათი აღქმა. ამიტომ გთხოვთ უპასუხოთ ჩვენს ანკეტას.

ანკეტა ანონიმურია. ეს იმიტომ, რომ თქვენ არ მოგერიდოთ აზრის თამამად გამოთქმა. თუმცა სურვილისამებრ შეგიძლიათ ვინაობის ჩაწერაც.

იმედი გვაქვს, ჩვენს თხოვნას უყურადღებოდ არ დატოვებთ. ამოჭერით ეს ანკეტა, შეავსეთ და გამოგვიგზავნეთ. კონვერტზე მისამართთან ერთად დააწერეთ ანკეტა. თუ თქვენი ოჯახის სხვა წევრებსაც სურთ ანკეტის შევსება, გაზეთი კი ერთი გაქვთ გამოწერილი, ნუ შეწუხდებით, შეგიძლიათ ანკეტა შეავსოთ ჩვეულებრივ ფურცელზეც. ნუ შემოიფარგლებით ჩვენი კითხვებით, გამორიცხული არაა, რომ ჩვენ გამოგვრჩა რამე, ამიტომ გძლევთ სრული იმპროვიზაციის საშუალებას.

ჩვენის მხრივ გპირდებით, რომ ანკეტების განხილვა—დამუშავების შემდეგ ანალიზის შედეგებს გამოვაქვეყნებთ.

**მაშ, ასე, ველით თქვენს გამოხმაურებას.**

**პატივისცემით გაზეთ „ლეჩხუმის" რედაქცია.**

პროფესია ____________________

ასაკი ____________________

ოჯახური მდგომარეობა ____________________

კითხულობთ თუ არა „ლეჩხუმს" და როდიდან გახდით მისი მკითხველი? ____________________

რა მო[illegible]ნთ ჩვენს გაზეთში? ____________________

რა არ მოგწონთ ყველაზე მეტად? ____________________

რა შეხედულება გაქვთ რედაქციის კოლექტივზე, თითოეულ ჩვენგანზე? ____________________

რომელი ავტორი მოგწონთ? ____________________

რას გვირჩევდით, რა თემებს, მიმართულებებს, რუბრიკას შემოგვთავაზებდით? ____________________

ქართული მხედრობა

## საუბარი რაიონის სამხედრო განყოფილებაში

**ახლახან მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის კანონი საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ. მისი არსის, პრაქტიკულად განხორციელებისა და ადგილზე გაწვევასთან დაკავშირებულ პრობლემებზე შევხვდით და ვესაუბრეთ რაიონის სამხედრო განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელს კობა კოპალიანს, მოადგილეს მუხრან ბერიძეს.**

**რა სიახლეა ახლადმიღებულ სამხედრო სავალდებულო კანონში წვევამდელთა გაწვევის შესახებ?**

ადრე მიღებულ კანონში დედისერთა შვილები არ გაიწვეოდნენ, ახლა კი შრომისუნარიანი მშობლების დედისერთები ჩვეულებრივად გაივლიან სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, იქ' სადაც სამხედრო მომზადების კათედრა არა აქვთ' გაწვევა ეხებათ ჩვეულებრივად.

სამხედრო — სავალდებულო სამსახურის ვადა ადრე იყო 18 თვე' ახლა კი საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის ჯარში გაწვეული ყველა კატეგორიის წვევამდელთათვის სამხედრო სამსახურის ვადა 24 თვეა.

**სინდისისა და რწმენის** თავისუფლების მოტივით მოქალაქეთა მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურზე უარის თქმის შემთხვევაში' ისინი შეიძლება გაიწვიონ არა სამხედრო ალტერნატიულ სამსახურში თანახმად საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 14 ივნისის კანონისა. ალტერნატიული სამსახურის ვადაა 36 თვე.

**ვის ეხება სამხედრო—სავალდებულო გაწვევაში გადავადება?**

შრომისუუნარო მშობლების ერთადერთ მარჩენალ ვაჟს' შრომისუუნარო და—ძმების მარჩენალ ძმას' ერთადერთ შვილიშვილს რომელიც პატრონობს შრომისუუნარო ბებიას ან ბაბუას' თუ კი მათ სხვა მარჩენალი არა ჰყავთ.

**ცოლშვილიანი წვევამდელი არ გაიწვევა?**

ოჯახური მდგომარეობის გამო გადავადება წვევამდელებს ეძლევათ 25 წლის ასაკამდე' თუ ამ დროისათვის მათ არ დაკარგეს შეღავათის უფლება' ისინი მშვიდობიან დროს სავალდებულო სამსახურში არ გაიწვევიან და ჩაირიცხებიან რეზერვში.

მშვიდობიან დროს სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა სწავლის გამო გადაუვადდებათ:

უმაღლესი სასწავლებლების დასწრებული სწავლების სტუდენტებს' რომლებიც გადიან სამხედრო სწავლებას შესაბამის სამხედრო კათედრებზე—სასწავლებლის დამთავრებამდე' გამოცდების ჩაბარების შემდეგ მათ ენიჭებათ რეზერვის ოფიცრის წოდება.

საშუალო სასწავლებლის მოსწავლეებს საშუალო და საშუალო სპეციალური სასწავლებლის დამთავრებამდე' ოღონდაც არა უმეტეს 20 წლის ასაკისა.

**წელიწადში რამდენჯერაა გაწვევა' გაქვთ თუ არა პრობლემები ამასთან დაკავშირებით' როგორია ახალგაზრდების განწყობილება და პრაქტიკულად როგორ ხორციელდება რეზერვისტთა და წვევამდელთა გაწვევასთან დაკავშირებით მოქმედი კანონმდებლობა?**

ომია ჩვენს მიწაზე და ბუნებრივია' განსაკუთრებით სიძნელეებია და ცუდადაა საქმე რეზერვისტების გაწვევასთან დაკავშირებით. მოთხოვნის შესაბამისად თავიანთი სპეციალობისა და სამხედრო გამოცდილების მიხედვით რაიონში 180 კაცი გამოვიძახეთ, სამხედრო განყოფილებაში მხოლოდ 10 კაცი გამოცხადდა.

ყველამ თავი შეიკავა სამხედრო კურსების გავლაზე. ამის შემდეგ გასული წლის დეკემბრის ბოლოს 16 კაცი პროკურატურას გადავეცით.

რაც შეეხება წვევამდელებს' წელიწადში ორჯერაა გაწვევა' გაზაფხულსა და შემოდგომაზე' სულ 50 წვევამდელი გვყავდა' გაწვევის გეგმა მინიმალურადაც არ შესრულდა და ვინც გავიწვიეთ' აქედან ერთი დეზერტირია და სახლში დაბრუნდა. თანამ[illegible] ვთ ვგრძნობთ შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებისაგან, და [illegible] ყველაზე დიდ დახმარებას სოფლის გამგებლებისაგან მოვითხოვთ' უნდა დაგვეხმარონ წარმოება—დაწესებულებების ხელმძღვანელები' რომლებსაც სამსახურში წვევამდელები და რეზერვისტები ჰყავთ.

ქვეყნის' მშობლიური მიწის დაცვის ნიჭი მამა—პაპათაგან მოგვდგამს' მარტო ლიტონი სიტყვები' . მოწოდებები და პათეტიკა ვერ შველის საქმეს' ვცოდავთ—გამწვევიც' გასაწვევიც თუ ჩვენ ყველა ერთად. ომი' რომელიც საქართველოში მძვინვარებს' ყველას ერთნაირად როდი გვაქვს გაცნობიერებული.

**ესაუბრა ჯ. მანდარია.**

## თვალსაზრისი

## ზარალის მეტს რას მოგვცემს

ამ დღეებში პარლამენტში სამუშაო დღის დაწყებაში ცვლილებებზე იყო საუბარი— პარლამენტარმა მურვანიძემ მოითხოვა ელექტროენერგიის დაზოგვის მიზნით მთელს რესპუბლიკაში დროის გადაწევა 1—2 საათით წინ. მან ეს საკითხი უფრო ადრეც დააყენა, რაც შესასწავლად გადაეცა კომისიას' რომელმაც მეცნიერებათა აკადემიასთან და კომპეტენტურ პირებთან მოლაპარაკებით უარყოფითი დასკვნა მისცა ამ წინადადებას. საბოლოოდ პარლამენტმა უარყო წამოყენებული წინადადება' მაგრამ მანვე შესთავაზა ამ კომისიას რეკომენდაციები გაუგზავნოს მინისტრთა საბჭოს ადმინისტრაციული დროის გადატანის შესახებ. რაც გულისხმობს სამუშაო დროის ადრე დაწყებას. ასე' რომ ეს საკითხი ოფიციალურად არ გადაწყვეტილა და არც უნდა გადაწყდეს.

პარლამენტარებს უნდა შევახსენოთ' რომ თბილისის პირობები არამც და არამც არ მოერგება რაიონებისას. ჯერ ერთი, თბილისშიც წარსულს ჩაბარდა კომფორტით ცხოვრება' კილომეტრებს გადიან ფეხით სამუშაომდე ადამიანები. მით უფრო ცუდადაა საქმე პროვინციებსა და სოფლის პირობებში. 7 საათზე ზამთრის დღეებში ბნელა. ამ დროს ალვი' მახაში, ოყურეში და სხვა სოფლებიდან მომავალი მუშა—მოსამსახურე ვერ მოასწრებს პრაქტიკულად სამუშაოზე მოსვლას. აქედან გამოდის რომ ფაქტიურად მომუშავეთა უმრავლესობა 9 საათზე ვერ შეუდგება პრაქტიკულად მუშაობას. დამთავრებით კი 2 საათით ადრე დაამთავრებს. ასე, რომ ეს ცვლილება ზარალის მეტს ვერაფერს მოგვცემს. უდისციპლინობასა და უწესრიგობას კი კიდევ უფრო შეუწყობს ხელს.

...მხოლოდ პარლამენტის სხდომიდან ძნელია დაინახო ხალხის გასაჭირი' რეალური ცხოვრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თვალსაზრისი

### დროება და საზოგადოება

# „ვარსკვლავების ცაში ბოლთის ცემა“

მე თუ არა, ბრძენი ილიას შეგონებას მაინც დაუჯერებს მკითხველი: დროა, თავი დავანებოთ უგემურ ლმობასა და თვალების სრესას, ეგება ცრემლი მომივიდესო. დროა, ჩავიდეთ ცხოვრების მდინარის ძირში და იქ მოვნახოთ შიგმდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის.

და ამის პასუხია და, უმჯობესი კია, პრესამაც და ადამიანებმაც ისედაც გულაჩუყებულ და გულშეწუხებულ მოკვდავთა ცრემლებთან თამაშს თავი მიანებონ და ვარსკვლავების ენაზე კი არა, საყოფაცხოვრებო ენაზე ცხოვრების ფსკერიდან დაელაპარაკონ მათ.

ლეჩხუმში კარგა ხანია იციან, რომ „მე არც გიორგი მეფის მეხოტბე ვარ და არც მელქისედეკ კათალიკოსის მგალობელი“. მაგრამ, როცა გაუგონარ უწესრიგობაზე ვწერთ და ვლაპარაკობთ, მდინარის სათავიდან დავიწყოთ, უნაგირდადგმული ცხენ-კაციდან და არა — უნაგირიდან.

ჩემი გამოსასარჩლებელი რა ჭირს ქართულ პოლიციას, ანდასაცავი (ისედაც „ჩინებულად“ იცავს თავსაც და ქვეყანასაც) და მაინც, ასე მინდა ვთქვა: პოლიციის რაიონულ განყოფილებაში ამჟამად ჯოჯოხეთის გამნათებელი ქრთამის გარეშე მუშაობენ ძველებიც და ახლებიც, თითქ- [illegible] იზოგავენ ოს თავსაც არ [illegible] ძოწოდებით მისული რიგიანი ბიჭები, მაგრამ მაინც უსაშველოდ უკმაყოფილოა საზოგადოება, მაინც მიაჩნიათ, რომ აქ ხელფასისა და „წილის“ ალების მეტი არაფერი კეთდება.

ამ განაჩენის გამოტანით ერთ რამეს შევახსენებ მხოლოდ: „შავი“ მაფია და კომუნისტური მაფია ერთად შეებრძოლა ყოფილ ხელისუფლებას, რადგან სახელმწიფო სტრუქტურები საშიში აღმოჩნდა მათთვის, ახლა კომ. მაფია მეხოტბეა ხელისუფლებისა, შავი მაფია კი — მგალობელი, რითაც სახელისუფლებო სკამიანობას ზიანი არ მიადგება, ხალხისთვის სასურველსა და სახეიროს კი ვინ ეძებს რაიმეს. ასე დაიცავს ერთმანეთს მთავრობა და უწესივრობა, ხალხის სოციალური დაცვისათვის კი პოლიციაღა რჩება. სახელმწიფოს ტრაგიკული მდგომარეობა კი მაშინ იწყება, როდეს დამნაშავეთა სამყარო მთავრობას არ ერჩის და პირიქით, რის გამოც სამართალდამცავი ორგანოები წესრიგიანობის დაცვის რომანტიკულ-

ფალი საწინააღმდეგო ზომებს მიმართავს და ურთიერთხელისშეშლის ბრალდებით წარსდგებიან ე. წ. „აქტივის“ შეკრებაზე რაიონში გამწვავებული კრიმინოგენური სიტუაციის საკითხთან დაკავშირებით, როცა რაიონში პირველი წესრიგის დამცველს „პარტის“ ბიჭები მანქანას დაულეწავენ, რის და ვის იმედზეღა უნდა დარჩეს კაცი, საკითხავია! ეს უკიდურესი გაბედულება შავი სამყაროსი ალბათ იქიდან მოდის, რომ საზოგადოებისათვის არც თუ ისე საშიში მერაბ ქარსელაის და ზოგიერთ სხვათა გასამართლებით მოვინდომეთ სანიმუშო წესრიგის დამყარება. უფრო დიდ დამნაშავეთ ხელი ვერ დავაკარეთ და პატარათაგან თუ ვინმე დაიჭირეს, ჩვენი [illegible] მიზეზით გაუშვეს უფრო ადრე ფულით, უფრო მოგვიანებით — უფულოდ!

...როგორ დავჩანჩაკებულვართ და დავბეჩავებულვართ, ხალხო, ჩამოხრჩობა რომ დაგვიპირონ სუყველას, თოკსაც ალბათ ჩვენვე მივურბენინებთ ჩამომხრჩობელს!...

საამბოხოდ არავის მოვუწოდებ, მით უფრო, რომ რაიონის ხელმძღვანელთაგან წესიერ კაცებად ვიცნობ უმეტესობას, მაგრამ თუ იმათმა, ვისაც ერის მეთაურობის პრეტენზიები გასჩენიათ, ტრანსპორტის, სურსათის, ჩასაცმელ-დასახურავის პრობლემები არ უნდა მოაგვარონ შესაძლებლობის ზღვარში მაინც, თუ დამნაშავეობის მომძლავრება ამ „მძლავრ აპარატში“ ერთ ძარღვსაც არ ატოკებს, რისთვისღა ხარჯავს ისედაც გადახარჯულ-გაღატაკებული სახელმწიფო მათ შესანახავ თანხებს?!

...კი ბატონო, საერთო გაჭირვების ბრალიცაა „ჭინჭებიდან“ დაწყებული სინდისიერებით დასრულებული ყველაფერს რომ იპარავენ, მაგრამ გაჭირვების გამო საქურდალ-საყაჩაღოდ გამოსული კაცი დინამიტად იქცევა-ხოლმე.

დამნაშავეობას, ადამიანების დაწიოკებასა და სინდისნამუსის უწმინდურთაგან ფეხქვეშ თრევას პირველ რიგში მთავრობამ უნდა გამოუცხადოს ომი და პირველ რიგშივე მოაგვაროს ადამიანთა სოციალური დაცვის პრობლემა, სხვანაირად ვერც ერთ სფეროში ვერ მოიპოვებს წარმატებას.

როცა სამართალდამცავი ორგანოები ოფიციალურ იდეოლოგიურ ომს უცხადებს რაიონულ ხელისუფლებას, როცა იგივე ხელისუ-

მისთანას ან მასზე გაჭირვებულს თუ შეკადრებს უკადრებელს, თორემ ახლაც რომ ფუფუნებაში იხრჩობიან, მაგათ ვერავინ შებედავს შეურაცხყოფას...

სანამ განათლების სისტემის მუშაკები და სკოლა თავისი ხელმძღვანელებით არხეინად გრძნობენ თავს და ადრინდელ რადიკალურ პასუხისმგებლობას არავინ დაუწესებთ მათ აღსაზრდელების „შენახვისათვის“,

სანამ იმ მშობელსაც, რომელიც წამდაუწუმ შეახსენებს პოლიციას: ჩემს შვილზე უფრო დიდი დამნაშავეები რატომ არ დაიჭირეთ და დასაჯეთო, სალაპარაკო მიზეზს არ მოუსპობთ, სანამ სახლსა და სამსახურში პატიოსნად მომუშავე კაცი ცხოვრებას დამათხოვრებული ჰყავს და ამდენად იგი მაგალითად ვერ გამოადგება გეზრიელი ყოფის მოტრფიალე ახალგაზრდობას, სანამ დაწერილ და დაუწერელ კანონს გაჯიბრებული და გამარჯვებული უსამართლობა ადამიანთაგან პატივცემული და გალაღებულია, სანამ დატოვებული ოჯახების დაწიოკების შიშით ქართულ ლაშქარში ფეხს არ ადგამს ლეჩხუმელი კაცი (თუმცა მარტო ეს არაა სახლად დარჩენის მიზეზი), სანამ ერთსულ არ გადაქცეულა საზოგადოების წესიერი ნაწილი, რაიონული მმართველობა და სამართალდამცავი ორგანოები, მანამ პოლიციის ყველაზე მებრძოლმა ბიჭებმა — ვალერი ხაბულიანის, ბესიკ კოპალიანის, მირიან მეშველიანის, ზურაბ თუთისანის... სახით 5 დღე კი არა 10-იც რომ გაატარონ უძილოდ, ფეხით და ცხენით კი არა ბეტეერებით სდიონ დამნაშავეებს, ერთი საკანი კი არა 10-იც მოაწყონ მათ დასამწყვდევად... მკაცრი წესრიგი მაინც ვერ დამყარდება.

მალტასა და ისლანდიაში პოლიციის არსებობის გარეშეც მშვენივრად გადაწყვეტილა თურმე ცხოვრების [illegible] გაწესიერების საკითხი... ასე რომ მაინც საამისოდ სახელისუფლებო სამსახური რჩება მთავარი, სახელმწიფო კანონით არსებობა და ადამიანთა შინაგანი ფსიქოლოგიის მოწესრიგება, სხვანაირად ეს წუთისოფელი, როგორც ილია იტყოდა „ვარსკვლავების ცაში ბოლთის ცემასა“ ჰგავს.

ილია იმასაც იტყოდა: „მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი, ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს!“. წარსულ დროებზედ დარდი უკვე სანახევროდ მოვიკალი, ახალ ვარსკვლავებს ცაში კი ჩემგან მოუწონებელმა ახალმთავრობამ სდიოს და თუ დაკრიფოს, უიმედობით გულშელონებულ ადამიანებს ჩამოუტანოს სულის ტკივილისა და გულის ტკივილის მოსარჩენად, გასათბობად და გასამთლიანებლად, შუბლში ტყვიადახლილი საქართველოს გადასარჩენად... ჯერჯერობით კი რაცაა, ესაა! — „ძალი ლავალს ლიმით ნაქცევზედა“...

**ლელა ლომთაძე,**

**განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი.**

# სრული სვლით

## იდეა მოქმედებაში, ანუ ცაგერის სამედიცინო სასწავლებელი დღეს

ცაგერში სამედიცინო სასწავლებლის გახსნის იდეა საინიციატივო ჯგუფის წევრებს, ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების რაიონში პრეფექტურის მმართველობის დროს გაუჩნდა, მაგრამ წინ ათასგვარი წინააღმდეგობა გადაეღობა. შარშან საქმეს ხორცი შეესხა და როგორც ამ სკოლის დირექტორი ექიმი ეთერ ბაბლუანი აცხადებს, ამ საქმისადმი უდიდეს დაინტერესებას და აქტიურობას რაიონულ საკრებულოს და პირადად გამგეობის თავმჯდომარეს აკაკი პირველს ვერავინ დაუკარგავს.

მთავარია მონდომება, ინტერესი იყოს და საქმე უსათუოდ გამოვა. ბინა ცაგერის № 91 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში გამოინახა. ამის შემდეგ მიიღეს ჯანმრთელობის სამინისტროს ნებართვა, განათლების მინისტრმა ლიცენზია გასცა და მიღება-გასაუბრება დაინიშნა. პროფესიის დაუფლების სურვილით გასაუბრებაში რაიონის მცხოვრები ახალგაზრდები მონაწილეობდნენ და სკოლაში ექთნობით დაინტერესებული 45 გოგონა და ერთი ვაჟია ჩარიცხული.

მეცადინეობა ნორმალურად მიმდინარეობს, სასწავლებლად მოწვეული არიან და ლექციებს კითხულობენ რაისაავადმყოფოს კვალიფიციური ექიმები — ნევროპათოლოგი მირანდა სილაგაძე, თერაპევტი ლია გუგავა, პედიატრი ნარგიზა ჭაბუკიანი, ეპიდემიოლოგი ჯონი ყვირილიანი, ქირურგი გია ხაბულიანი, ფარმაკოლოგი ნათელა ცხვედიანი და ახალგაზრდა სპეციალისტი ბიოლოგი ირინე სვანიძე, რომელთა ანაზღაურება არც იმდენად ღირს, რომ ძირითად სამსახურებრივ თუ ოჯახურ საქმეს მოწყდნენ, მაგრამ ამაში იმდენად სასარგებლო საქმეს ხედავენ, რომ უკან არ იხევენ და ახალგაზრდების პროფესიის დაუფლებისათვის ყველაფერს აკეთებენ.

ახალგაზრდები რაიონის თითქმის ყველა სოფლიდან არიან, პროფესიის დაუფლების სურვილს ოჯახის [illegible] ინტერესი [illegible], რომ ამ უტრანსპორტობისას, დიდთოვლიან ზამთარში სოფელ ლაჯანიდან, ორბელის გადასასვლელზე კილომეტრებს ფეხით გადიან.

სკოლაში სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვისათვის მეთოდური კონსულტანტის როლს პროფსასწავლებლის დირექტორი ჯიბილო მიქაძე ასრულებს, კურსი საშუალო სკოლადამთავრებულებითაა დაკომპლექტებული და მხოლოდ და მხოლოდ სპეციალურ საგნებს გადიან. მეცადინეობა კვირაში ოთხი დღე მიმდინარეობს. დილის 9 საათიდან 1 საათამდე პრაქტიკა აქვთ საავადმყოფოში, დღის 2 საათიდან 8 საათამდე კი თეორიული მეცადინეობა მიმდინარეობს, ჯერჯერობით პროფსასწავლებლის ერთი ოთახი უკავიათ. მომავალი წლიდან კიდევ დასჭირდებათ სამეცადინო აუდიტორია და ამის საშუალებაც აქვს კიდეც პროფსასწავლებელს.

სწავლის ხანგრძლივობა ორი წელია, იგი ფასიანია და ამჟამად, პირველი წლის შესატანი 7 ათასი მანეთია, თუმცა სპეციალურ დებულებაში მითითებულია, ფულის კურსის დაცემასთან დაკავშირებით შესაძლებელია შეიცვალოს გადახდის ღირებულება. მაგრამ ასეა თუ ისე, მაინც სასარგებლო საქმე კეთდება, იზრდებიან საშუალო რგოლის სამედიცინო კადრები და მათ ადგილზე, ჩვენს რაიონულ ცენტრში გახდა მოსახერხებელი. ჩვენც მხოლოდ გვინდა წარმატებები ვუსურვოთ ამ საქმის ენთუზიასტებს და პროფესიის დაუფლების სურვილით სკოლაში მოსულ ახალგაზრდებს.

**ჯ. მანდარია.**

## ფოსტა

# მადლობთ

დღეს ჩვენს გაჭირვებულ ყოფაში ნემსიც რომ დაგვეკარგოს, ისიც დაგვაკლდება. და რა გასაკვირია ჩვენი ოჯახის წუხილი, როცა, ასე ვთქვათ, მარჩენალი ძროხა დაგვეკარგა.

ამაოდ შევძარით თითქმის მთელი რაიონი, გადაგვეწურა ყველა იმედი, მაგრამ, მადლობა ღმერთს, კეთილი, ნამუსიანი ადამიანები ჯერ კიდევ არიან ჩვენს ირგვლივ. ასეთია ლარჩვალელი ნოდარ ხეცურიანის ოჯახი, რომელსაც დაკარგული ჩემი ძროხა დაუბინავებია, ორ კვირას საკუთარივით უვლიდა, აჭმევდა, მზრუნველობდა.

მადლობა ხეცურიანების ოჯახს თავისთავად იმისათვის, რაც ჩვენ გაგვიკეთა, მაგრამ უფრო იმისათვის, რომ მათი ცხოვრების წესი პატიოსნება და სინდისია.

**შოთა კოპალიანის ოჯახი.**

სოფ. ქვ. ცაგერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ყურადღება!

# ცეცხლსასროლი იარაღის რეგისტრაცია 31 იანვარს უნდა დამთავრდეს

„საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, სამხედრო აღმშენებლობის გადაუდებელი ღონისძიებისა და იარაღისა და საბრძოლო მასალების კონტროლის გაძლიერების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების შესაბამისად გაუქმებულია დღემდე გაცემული ყველა სახის იარაღისა და საბრძოლო მასალის შენახვის, ტარების, გადატანის, გადაზიდვისა და გადაგზავნის უფლება.

ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის შეძენის, შენახვისა და ტარების ნებართვის გაცემის უფლება მიენიჭა მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროების შესაბამის სამსახურებს დადგენილი წესით.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ერთი თვის ვადაში უნდა უზრუნველყოს მოსახლეობაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის სრული აღრიცხვა და რეგისტრაცია (ჩვენს რაიონში კლიმატური პირობების გამო იანვრის ბოლომდე). რაიონის ყველა მოქალაქე, რომლებიც ფლობენ ცეცხლსასროლ იარაღს, მიუხედავად იმისა, რეგისტრირებულია იგი თუ არა, ვალდებულია მიმდინარე წლის 31 იანვრამდე მიმართოს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებას ცეცხლსასროლი იარაღის ხელახალი რეგისტრაციისათვის.

რაიონის საკრებულოს გამგეობასთან შექმნილია კომისია, რომელიც დაადგენს საბაზრო ფასებს ხრახნილლულიან იარაღებზე, რომელსაც მფლობელები მიყიდიან სახელმწიფოს ნებაყოფლობით, თანხა გაიცემა დაუყოვნებლივ.

პირი, რომელიც რეგისტრაციაში გაატარებს ან ნებაყოფლობით ჩააბარებს ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალას ანაზღაურებით, თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

პირებს, რომლებსაც უნებართვო გლუვლულიანი სანადირო ცეცხლსასროლი იარაღი აქვთ და ასეთები რაიონში საკმაოა, ეძლევათ საშუალება სათანადო საბუთების წარმოდგენისა და 1000 (ათასი) მანეთის ბიუჯეტში ჩარიცხვის შემდეგ დაუკანონდეთ იარაღი. იანვრის შემდეგ შეღავათები აღარ იქნება და ყოველგვარი ცეცხლსასროლი იარაღი ამოღებული იქნება დაუყოვნებლივ.

სხვა საინტერესო საკითხებზე მოგვმართეთ შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში, კერძოდ, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ჯგუფის ინსპექტორს ს. ი. ჩარკვიანს.

შენიშვნა:—იარაღის მფლობელმა პირებმა იარაღი სარეგისტრაციოდ პირადად უნდა წარმოადგინონ.

ო. ახვლედიანი,
შ. ს. ცაგერის რაიგანყოფილების უფროსი, პოლიციის პოდპოლკოვნიკი.

---

## საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან არსებული საქართველოს რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი რესპუბლიკური ფონდი

## განმარტავს

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებსა და ფასიან სასწავლებელთა სტუდენტებზე პურის კომპენსაციის გაცემის წესის სრულყოფის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 25 დეკემბრის №1144 დადგენილების თანახმად გაცნობებთ შემდეგს:

1. რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში საკუთრების ფორმის მიუხედავად პურის კომპენსაცია თვეში 340 მანეთის ოდენობით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 6—დან 16 (18) წლამდე ასაკის მოსწავლეებზე გაიცემა სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრებიდან მათ ერთ-ერთ მშობელზე.

კომპენსაცია მიეცემა მამას სამუშაო ადგილზე, თუ მამა არა ჰყავს ან არ მუშაობს, დედას ძირითად სამუშაო ადგილზე, ხოლო მშობლების არყოლის შემთხვევაში—პირებს, რომლებიც ცვლიან მშობლებს (კომპენსაციის თანხები ნაჩვენები უნდა იქნას სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ანგარიშის ფ. № 4—ის მე—12 გრაფაში).

6 წლის ზევით ბავშვებზე, რომლებიც არ სწავლობენ და ძათი მშობლები (მეურვე) არ მუშაობენ, კომპენსაციები გაიცემა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ.

2. ფასიანი (დღის) სასწავლებლების სტუდენტებზე და აგრეთვე იმ სტუდენტებზე, რომლებიც არ იღებენ სტიპენდიებს და სოციალური უზრუნველყოფის ხაზით დახმარებებს, პურის საკომპენსაციო თანხები გაიცემა სასწავლებელში სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრებიდან (ხარჯები ნაჩვენები უნდა იქნას ფ. № 4-ის 13 გრაფაში).

3. 3 წლამდე ასაკის ბავშვის მოვლისათვის შვებულებაში მყოფ დედებზე (ან ოჯახის წევრზე, რომელსაც გაფორმებული აქვს ბავშვის მოვლისათვის შვებულება) პურის კომპენსაცია გაიცემა სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრებიდან (ხარჯები ნაჩვენები უნდა იქნას ფ. №4—ის, 14 გრაფაში).

სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრებიდან გაცემული პურის საკომპენსაციო თანხები შესაბამისი ადგილობრივი ორგანოების მიერ ანაზღაურებული იქნება თქვენს მიერ კვარტალური ანგარიშის წარდგენის საფუძველზე.

მშობლებზე ბავშვებისათვის კომპენსაციის თანხის გაცემის საფუძვლს წარმოადგენს ცნობები, რომელთაც გასცემენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები (სკოლამდელი დაწესებულებები) და ფასიანი სასწავლებლები, ხოლო სახლმმართველები (ადგილობრივი მმართველობის ორგანოები) იმ ბავშვებზე, რომელთაც შეუსრულდათ 6 წელი, არ სწავლობენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და არ ირიცხებიან სკოლამდელ დაწესებულებებში.

ზემოაღნიშნული დადგენილების მოქმედების ვადა იწყება 1993 წლის 1 იანვრიდან.

სახელმწიფო, სამეურნეო საწარმოებმა, კერძო და ინდივიდუალურმა მეწარმეებმა აღნიშნული დადგენილება მიიღონ სამსახურებრივი სარგებლობისათვის.

---

## გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!

ნათია მუზაშვილს, დავით ჟურაშვილს
გილოცავთ ბედნიერებას. იყავით დღეგრძელი, ჯანმრთელი, ბედნიერი.
თალიკო ჟურაშვილი, სიამაზ ჩაკვეტაძე, ოსიარ ხაბულიანი, კუკური, ემზარ მდივნები.

ფატი ჩაჩხიანს, მირზა ქარსელაძეს
გილოცავთ ბედნიერებას.
კავშირგაბმულობის ლაილაშის განყოფილების თანამშრომლები.

გიული, გოგიტა გოქაძეებს
გილოცავთ ბედნიერებას.
კავშირგაბმულობის ლაილაშის განყოფილების თანამშრომლები.

გიული მახაროგლიძეს, გოგიტა გოქაძეს
გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ ფუძძლიერი და ლამაზი ოჯახის შექმნას.
ლაილაშის საშუალო სკოლის კოლექტივი.

## გილოცავთ

ნარგიზა ჟაგუკიანს
გილოცავთ პედიატრის უმაღლესი კატეგორიის მინიჭებას.
ციციNო, ნონა ფანჯარაძეები, მიმოზა, ეთერი, ნინო ახვლედიანები.

გულო, ზურაბ, თინა, შოთა ხაბულიანებს
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის ბედნიერებას.
ოთარ ხაბულიანი, ოსიარ თვარაძე ოჯახებით.

ლელა, მალხაზ ახვლედიანებს
გილოცავთ ტყუპების შეძენას.
კავშირგაბმულობის ლაილაშის განყოფილების თანამშრომლები.

ზოია, შაქრო შკუბულიანებს
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო.
ლერი სალინაძე ოჯახით.

თინა, ალიოშა ქლიგაძეებს
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო.
ლერი სალინაძე ოჯახით.

იზო, ჯონი ...ებს
გილოცავთ ნინოს ბედნიერებას.
აკაკი სილაგაძე ოჯახით.

დავით კოპალიანს, ჟორა ჟურაშვილს
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას.
ვაჟა ჟურაშვილი ოჯახით.

ნატო, ზურაბი, სულიკო, გრიშა ნემსწვერიძეებს
მედიკო, დალოსტი ხეცურიანებს
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.
ლია, მურთაზ ჩხეტიანები.

ლალი შალვას ასულ გურჯალიანს
გილოცავთ ..მისშვილის შეძენას.
ლაილაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

ნატო, ზურიკო, სულიკო, გრიშა ნემსწვერიძეებს
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.
ნაზი, თამილა, ლენორა, მერი, იზო, ლია, სური, გურამი, გივი, ჯემალი ოჯახებით.

ჟენია უგრეხელიძეს, თემურ ჟურაშვილს
გილოცავთ შვილიშვილისა და დისშვილის შეძენას.
ოყურეშის სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

ნატო ჟურაშვილს, ნუგზარ კოპალიანს
გილოცავთ ქალიშვილის შეძენას.
ოყურეშის სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

## ხსოვნა

# ვერა ბაქრაძე

წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი კარგი ქალი, დავწლმოსილი პიროვნება, მილიციის ვეტერანი ვერა ათანასეს ასული ლიპარტელიანი—ბაქრაძე.

იგი მთელი შეგნებული ცხოვრება მუშაობდა ცაგერის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში მდივან—ბუღალტრად. ძველი და საშუალო თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ ვერა ბაქრაძე— ვაჟკაცურად შემართული ქალი მილიციის ფორმაში, სიმკაცრით, საქმის სიყვარულით, გულისხმიერებით, ავტორიტეტით გამორჩეული.

უკვე 70 წელს მიღწეული პენსიაზე გააცილეს პატივით, მაგრამ ვერა ბაქრაძის გარეშე მილიციაში წარმოუდგენლად ეჩვენათ მუშაობა და მალე ისევ დააბრუნეს, ცოტა ხანს კიდევ ნუ დაგვამადლი შენს გამოცდილებას და ენერგიასო. ენერგია მართლაც ულევი ჰქონდა, ენერგია და გულის სითბო, პასუხისმგებლობა.

ვერა ბაქრაძემ საკუთარ მხრებზე გადაიტანა 1941—1945 წლების ომის საშინელება. მეუღლე ფრონტზე დაკარგა. ორი შვილის დედობა და მამობა თავად იკისრა, კარგი შვილები აღზარდა. ეს და შემდგომი პერიოდი დაძაბული იყო მილიციის მუშაკთათვის მთელი ქვეყნისთვის, მაგრამ შინ და გარეთ მოწესრიგებული ვერა ბაქრაძე ჩვეული გულმხურვალებით აკეთებდა თავის საქმეს, ასრულებდა არა ერთ საზოგადოებრივ დავალებას.

ახლა შვილებსა და შვილიშვილებში, შვილთაშვილებში ხარობდა, ყველა თავს დასტრიალებდა, მაგრამ ველარ გაუძლო დაღლილმა, ინფარქტგადატანილმა, ათას ჭირგამოვლილმა გულმა. ჯერ კიდევ სხვის სიკეთეზე მფეთქავი გულიდან ესლა ამოხდა: ცუდი დრო და ამინდია, ნუ შეაწუხებთ სოფელ—ქვეყანასო.

ალბათ გულმა უგრძნო—მისი დაკრძალვის დღეს დილიდან გადაუღებლად თოვდა, მაგრამ მიცვალებულის პატივსაცემად დიდძალი ხალხი მოვიდა, ვერა ბაქრაძე ალალი ცრემლით დაიტირა ყველამ.

შინაგან საქმეთა ცაგერის რაიონული განყოფილება.

---

მეუღლე ლია გვიშიანი, შვილები კახა, მაკა, ეკა; დები ლენა, თინა, ძმები გრიშა, არშაკო, ჯიუ, სიძეები შაქრო დავითულიანი, შოთა ჭოხონელიძე, ძმისშვილები, დისშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**არსენ სამსონის ძე ლეშკაშელი**

დაკრძალვა 24 იანვარს, კვირას, სოფ. ლაჯანაში.

---

ცაგერის რაიონის ვეტსამსახური იუწყება, რომ გარდაიცვალა დავწლმოსილი ვეტერინარი

**გუჟუ ბაგრატის ძე სალინაძე**

---

ზაურ მუშკუდიანი, ზაურ ჩიქოვანი, სოსო ლეთოდიანი, მირზა ლიპარტელიანი, მურა ბერიძე, ლუდუკი ბენიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ იური, ვაჟა ბენდელიანების ოჯახებს

**გუჟუ სალინაძის**

გარდაცვალების გამო.

---

თამაზ, გულვერ, მამუკა, ხვიჩა, ჯონდო სალინაძეები, აფთიონ, მერაბ, ანდრო, ზაალ, ამბროსი კოპალიანები, როინ, თეიმურ ლიპარტელიანები, იროდი, მურთაზ ბენდელიანები, ავთო, თენგიზ ჩიქოვანები, ჟუჟუნა ცვარიანი, რამაზ შკუბულიანი, ბენური, ჯანიკო კვირკაშვილები, მურთაზ ლურჯუმალიძე, გია დავითულიანი, ომარ ჟაგუკიანი, გონდო ლეთოდიანი, როვან გვიდიანი, გივი სილაგაძე, გორის დაშნიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გუჟუ სალინაძე**

---

დედა პინა, ძმა ჟორა, რძალი ნანი, ძმისშვილები ნინო, ალუდა თუთისანები, სიძე კახა მუშკუდიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ავთო დომენტის ძე თუთისანი**

---

დავით, ალექსანდრე ცვარიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჟორა თუთისანის ოჯახს

**ავთოს**

გარდაცვალების გამო.

---

მამუკა სალინაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა **გუჟუ ბაგრატის ძე სალინაძე** და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

მეზობლები გივი, იმედა მუშკუდიანები, დემურ გოგიძე, გიზო მდივანი, ომარ ქურაშვილი, ავთანდილ ლიპარტელიანი, გორის ბერიძე, სკენდერ ონიანი ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ ოჯახს

**ვერა ბაქრაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს მარინე, მერაბ ახვლედიანებს ბიძის

**შიო ლაშქეკიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ნინელი მუშკუდიანი, რუსუდან არჯევანიძე, ლილი გურგუჩიანი, ლია, დაშა კვირკაშვილები, ნორა მეშველიანი, ნინო კალანდაძე, ზაირა სილაგაძე, ნანუშა ონიანი, თამარ ასათიანი, ლალი ბენდელიანი, ლამზირა სალინაძე თანაუგრძნობენ ნონა სვანიძეს ძმის

**ჟანდერ სვანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

და ოლია, დისშვილები ფოთოლა, სულიკო, მაყვალა ნოდარი, ვახტანგი, ჯოკია, აბელ ყურაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლუბა გიორგის ასული ჯიაძე-ხეცურიანი**

---

ნინელი მუშკუდიანი, ნორა მეშველიანი, ნინო კალანდაძე, ნივრა ქომეთიანი, ზაირა სილაგაძე, ნონა სვანიძე, ძედიკო მურცხვალაძე, ნანუშა ონიანი, თამარ ასათიანი, ლალი ბენდელიანი, ქეთინო ნემსწვერიძე, ნაზიკო, მარინე კოპალიანები, ნუკრი ქვილითაია, დაშა კვირკაშვილი, რუსიკო არჯევანიძე, ირინე მამალაძე თანაუგრძნობენ ლამზირა სალინაძეს ბიძის

**გუჟუ სალინაძის**

გარდაცვალების გამო.

---

გია ჩარკვიანი, ცაგუ ახვლედიანი, ოთარ ხეცურიანი, მაყვალა ცხვედიანი, ლილი ქურაშვილი, ირინე სვანიძე, ნუნუ ბელენიძე, ანგელინა ხაბულიანი, ნანა ხეცურიანი, თამილა, ილმირა ლიპარტელიანები თანაუგრძნობენ ნანი, ჟორა თუთისნებს

**ავთოს**

გარდაცვალების გამო.

---

ლვირიშის საექიმო ამბულატორიის საფერშლო-სამეანო პუნქტების თანამშრომლები თანაუგრძნობენ თათუშა ბილეთიანს შვილიშვილის

**ხათუნას**

გარდაცვალების გამო.

---

ნორა, დარეჯან მახაროგლიძეები, თამილა გურასაშვილი, ფერიდე გოგებაშვილი თანაუგრძნობენ მზია, მურთაზ სილაგაძეებს

**ნინას**

გარდაცვალების გამო.

---

თეიმურ შკუბულიანი, მუხრან ლიპარტელიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ მედიკო, ჟორა შკუბულიანებს დედისა და სიდედრის

**ვერა ბაქრაძის**

გარდაცვალების გამო.

---

თამაზ, იური ბენდელიანები ოჯახებით ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**ავთო დომენტის ძე თუთისანის**

**გარდაცვალების გამო.**

---

ბელა, ვლადიმერ, ბრიჟა ხაბულიანები, ვიტალი კოპალიანი ოჯახებით იუწყებიან

**ავთო დომენტის ძე თუთისანის**

გარდაცვალებას.

---

კაკო ბენდელიანი, ვალერი ჯიაძე, ენგელი ქურასბედიანი, მურთაზ ლეთოდიანი ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ ჭირისუფალს

**გუჟუ სალინაძის**

გარდაცვალების გამო.

---

დავით ნემსწვერიძე ოჯახით თანაუგრძნობს მედიკო, ჟორა შკუბულიანებს

**ვერას**

გარდაცვალების გამო.

---

და მარიამი; გიული, რომეო, შაკო, გოგი კაკაბაძეები, მანანა ბრძოლიშვილი, ჯემალ, ნანა ხეცურიანები იუწყებიან

**ვერა ბაქრაძის**

გარდაცვალებას.

---

სევარიონ, ტიტიკო, შოთა ... ლიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**ვერა ბაქრაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ქვედა ცაგერის სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი მაყვალა კოპალიანი თანაუგრძნობენ ბექა სალინაძეს ბიძის

**ჟანდერ სვანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

რაისაავადმყოფოს სამშობიარო განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მედიკო ბაქრაძეს დედის

**ვერას**

გარდაცვალების გამო.

---

გურამ გიორგობიანი, მერი ხეცურიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ნაზი, ჯიმშერ გიორგობიანებს ბიძაშვილის

**თემურის**

გარდაცვალების გამო.

---

ლადო თუთისანი, გიორგი, როლანდი ბელენიძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჟორა თუთისანის ოჯახს ძმის

**ავთოს**

გარდაცვალების გამო.

---

რაისაავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლუბა, გრიგოლ ლეთოდიანებს შვილიშვილის

**ბექან სვანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ზურაბ ასათიანი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება

**არსენ სამსონის ძე ლეშკაშელის**

გარდაცვალებას.

---

სეით, სოსო ქომეთიანები, ტაგუ, ამირან ფუტკარაძეები, ოჯახებით თანაუგრძნობენ ჟორა, ნანი თუთისანებს ძმისა და მაზლის

**ავთანდილ დომენტის ძე თუთისანის**

გარდაცვალების გამო.

---

ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის მე—9 კლასის მოსწავლეები თანაუგრძნობენ ხათუნა, დათო თუთისანებს მამის

**ავთო თუთისანის**

გარდაცვალების გამო.

---

სევარიონ, შოთა კოპალიანები, დესნა სილაგაძე, ზაურ სალინაძე, მურთაზ ჩარკვიანი, ლულუნა ჩაკვეტაძე ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ ჭირისუფალს

**გუჟუ სალინაძის**

გარდაცვალების გამო.

---

იური, ვაჟა ბენდელიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გუჟუ სალინაძე**

---

შვილები ლილი, ზინა, რძლები ლენა სალინაძე, ნორა ხეცურიანი, ... ვენედი ცხვედიანი, დავით ლოგუანიძე, ... იანი, შვილიშვილები მარინა, მანანა, მალხაზი, მურმანი, ნინო, ზურაბი, ზაური, გურამი, გოჩა, ბესიკი, ირმა, ირაკლი, ირინა, შვილთაშვილები ანა, გიორგი, ძმისშვილები, მაზლიშვილები, მულიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დომნა სიქროპირის ასული ბენდელიანი-ლიპარტელიანი**

დაკრძალვა 26 იანვარს, სამშაბათს, ქ. ცაგერში.

---

ბორის კოპალიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჟორა თუთისანს და განსვენებულის ოჯახს

**ავთო თუთისანის**

გარდაცვალების გამო.

---

ომარ სალინაძე ოჯახით თანაუგრძნობს გულო, თამაზ სალინაძეებს ძმისა და ცოლისძმის

**ჟანდერ სვანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ზერი უბრეხელიძე ოჯახით თანაუგრძნობს გულო სვანიძეს ძმის

**ჟანდერ სვანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ვერა, მანდილო, დათო სალინაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**გუჟუ სალინაძის**

გარდაცვალების გამო.

---

სამეურნეოგათემორისო სატყეო მეურნეობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ვიქტორ სალინაძეს ძმის

**გუჟუს**

გარდაცვალების გამო.

---

ჟორა ხეცურიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს

**ვერა ბაქრაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ალიოშა თუთისანი ოჯახით იუწყება

**ავთო დომენტის ძე თუთისანის**

გარდაცვალებას.

---

ომარ, თამაზ სალინაძეები ოჯახებით იუწყებიან

**გუჟუ სალინაძის**

გარდაცვალებას

---

ჟორა გურგუჩიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჟორა და ნანი თუთისანებს ძმისა და მაზლის

**ავთო თუთისანის**

გარდაცვალების გამო.

---

ალიოშა სალინაძე ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს

**გუჟუ სალინაძის**

გარდაცვალების გამო.

---

შოთა, გურამ ლეთოდიანები ოჯახებით იუწყებიან

**გუჟუ სალინაძის**

გარდაცვალებას.

---

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

გაზეთი მუშაობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე.

რედაქციის მისამართი: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. № 56.

ტელეფონები: რედაქტორის—22-31, საერთოს— 22-43; სტამბის დირექტორის—22-17.

ტირაჟი 1244. შეკვეთა № 1.

ცაგერის რაიონული სტამბა.